ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 26 დეკემბერი, 2019 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: WEG-ის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
2. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
3. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისათვის
4. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
5. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციცია
6. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
7. ნატო არღვლიანი - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

განსახილველი საკითხები:

1. მომზადება ენერგეტიკაში სექტორული შეხვედრისათვის
2. სექტორის მდგომარეობის მიმოხილვა
3. საორგანიზაციო საკითხები
4. სხვა საკითხები

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, მურმან მარგველაშვილმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრეს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე გასამართი სექტორული შეხვედრების თემატიკაზე. ჯგუფმა ჩამოაყალიბა ის კონკრეტული საკითხები, რომელიც სასურველია განხილულ იქნას სექტორული შეხვედრების ფორმატით.

პირველ საკითხად, მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი აყალიბებს საჯარო განხილვებისა და საზოგადოების ინფორმირების საკითხს. მან აღნიშნა, რომ ნებისმიერი სტრატეგიული დოკუმენტისა და ენერგეტიკული პროექტების განხილვა უნდა მოხდეს საჯაროდ და უზრუნველყოფილი უნდა იქნას დაინტერესებული პირების დასწრება. ასევე ერთი საკითხი, რომელიც გახილული იქნება სექტორულ შეხვედრაზე, არის გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება. როგორც შეხვედრაზე ნინო ჩხობაძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ იმ პროექტებზე, რომელსაც ამზადებს ენერგეტიკის სამინისტრო, არსებობდეს სტრატეგიული გარემოს ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი.

მან მიაწოდა ინფორმაცია დამსწრე საზოგადოებას საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს და USAID-ის მიერ ენერგეტიკის შეფასების წინასწარი შედეგების შესახებ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესწავლილი და განხილული იქნა ენერგეტიკული სექტორის პრობლემები. სიღრმისეულად მოხდა პრობლემური საკითხების გაანალიზება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. მნიშვნელოვანია რომ მეორადი კანონმდებლობის შემუშავება-განხილვა მოხდეს საჯაროდ, რადგან ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება სწორედ ამ მეორად კანონმდებლობას. ასევე გამოიკვეთა სისტემური პრობლემები, რომელსაც ვარყდებით სამინისტროში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა 4 ძირითადი პრობლემური საკითხი, ესენია:

1. გამჭვირვალეობისა და კარგი მმართველობის პრობლემა
2. ქვეყანას არ აქვს სტრატეგიული ხედვა
3. ინსტიტუციური სისუსტე
4. კვლევების არარსებობა

გაზის სექტორის გაუმჭვირვალობის პრობლემაზე ისაუბრა მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, რომელმაც ჩამოაყალიბა რამდენიე მნიშვნელოვანი ასპექტი.

a. დეროგაციის მოხსნა ჩრდილოეთ სამხრეთის გაზის მილსადენიდან და გადაყვანა გამჭვირვალე რეგულირების რეჟიმში;
b. ჩრდილოეთ-სამხრეთი მილსადენის დეროგაცია
c. სოკარის მონოპოლია და ეკონომიკაზე ზემოქმედების ბერკეტები

ჯგუფის შეხვედრაზე, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ნინო ჩხობაძემ ხაზი გაუსვა აუცილებლობას, რომ რეგრანტინგისთვის ან მის გარეშე მოხდეს ორჰუსის კონვენციის გამოყენება. ორჰუსის ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადება და გამოყენება გამჭვირვალობის გასაზრდელად. მათ შორის გაზის სექტორში, ვინაიდან ეხება ბუნებრივ რესურსებს. მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება ორჰუსის კონვენციის უკეთესად გამოსაყაენებლად იმისთვის, რომ მოხდეს ინფორმაციის მოთხოვნა. ფართო გაგებით ორჰუსის კონვენცია ეხება რესურსებს და ამიტომ უნდა შეიძლებოდეს მისი გამოყენება.

ჰიდროსადგურების მემორენდუმების მართვა, ქვეყნის მიწა წყალი და აღებული საბიუჯეტო ვალდებულებები. ჯამში ეს აქტივი ივაჭრება მეორად ბაზარზე, მაშინ, როცა უნდა იყოს დაბრუნებული სახელმწიფოსთვის ხელშეკრულებების დარღვევების გამო.

ჯგუფის წევრები აღნიშნავე, რომ წყლის რესურსების ნაკლებობა და შეუსწავლელობა საჭიროებს კვლევას და მეტ ინფორმაციას.

შემდეგ საკითხად, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა, მესამე ჯგუფის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია ეროვნული პლატფორმების პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფის ნაწილზე. პროგრამული მხარდაჭერა გაიცემა კუალიციურ პროექტებზე. პროგრამულ მხარდაჭერას ვერ მიიღებს არჩევითი ორგანოს წარმომადგენლები, ამიტომ ჯგუფის სხვა წევრებს, საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, დამსწრე ორგანიზაციის წარმომადგენლება გაუზიარეს ერთმანეთს ინფორმაცია სექტორში მიმდინარე პროცესებსა და არსებულ სიტუაციებზე. ისაუბრეს როგორც ენერგეტიკის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე, ისე გარემოს დაცვით საკითხებზე. ყურადღება გამახვილდა სექტორში მიმდინარე პროცესებზე და იმ პრობლემებზე, რომელსაც ვაწყდებით სხვადასხვა მიმართულებით.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე